სარჯიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 თებერვალი 2006 №29 (2651) ფასი 50 თეთრი

გუშინ პარიზში ძალიან ბევრი, მაგრამ სულ ტყუილად ილაპარაკეს

კონკორდატი არ შედგა

დღეს შვიდეული შეთანხმებას ერთხელაც შეეცდება



„პარიზული სამიტის“ მონაწილენი: უკრაინის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე ოლეგ კუზნეცოვი, ფარერების ნაკრების მწვრთნელი მარტინ ოლსენი, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი უოლტერ სმიტი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი მარჩელო ლიპი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი და ლიტვის ნაკრების მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი

torino 2006

გაიკეთეთ შავი სათვალე

დღეიდან ბევრი იქნება თოვლი

AFP ფოტოსურათი

B ჯგუფი რუკაზე

კლაუს ტოპმიოლერი (მარცხნივ) მოლაპარაკებათა მაგიდასთან

შეთანხმდნენ, რომ ვერ შეთანხმდნენ

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის წარმომადგენელთა გუშინდელი პარიზული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ამგვარ ფინალს წინ თითქმის შვიდსაათიანი მოლაპარაკებათა პროცესი უძღოდა, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრულად...

პარიზში შვიდივე ქვეყნის დელეგაცია ჩავიდა. ექვსი მათგანი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა გარდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელითაც იყო წარმოდგენილი. მხოლოდ უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა ვერ დამო კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის ცეესკას ამხანაგური მატჩი. უკრაინულ დელეგაციაში ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ალექსანდრ ბანდურკო და ბლოხინის თანაშემწე ოლეგ კუზნეცოვი შედიოდნენ.

აფრიკის ერთა თასის ფინალურ შეხვედრას აღარ დაელოდა და პარიზში ჩავიდა „სკუადრა აძურას“ თაკაკი მარჩელო ლიპიც. საქართველოს, მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენმდივანი უჩა უგულავა და ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი წარმოადგენდნენ.

კონსულტაციები, რომლებსაც წინ ერთგვარი ფოტოსესია უძღოდა, თბილისის დროით 17 საათზე დაიწყო. პირველად ჩვენს დელეგაციასთან დაკავშირება ხუთი საათის გასვლის შემდეგ ვცადეთ. ახალკაცისა და უგულავას ტელეფონები გამორთული იყო, კლაუს ტოპმიოლერმა კი გვითხრა, ორი საათის შემდეგ დაგვერეკა — ამ დროისთვის ყველაფერი გარკვეული იქნებაო. შუადამე გადასული იყო, როცა ჩვენი ნაკრების თავკაცს ისევ შევეხმიანეთ და ტოპმ კიდევ ერთი საათი ითხოვა. ამან იმედი მოგვცა, რომ შეთანხმება შედგებოდა და უკვე დღეს შეგვეძლებოდა მკითხველისთვის კალენდრის სავარაუდო ვარიანტის შეთავაზება, მაგრამ...

ტოპმიოლერის მიერ დათქმული ერთი საათის გასვლას თხუთმეტიოდე წუთი აკლდა, როცა ფრანგულმა „ეკიპმა“ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა — შეთანხმება არ შედგა და კონსულტაციები დღეს გაგრძელდებაო. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევა კვლავაც ჩვენი დელეგაციის წევრებთან ვცადეთ. ამჯერად კლაუს ტოპმიოლერის ტელეფონიც გამორთული იყო...

მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდას დღეს მიუსხდებიან. გათიშული ტელეფონები ალბათ იმის ნიშანია, რომ თითოეული, მათ შორის საქართველოს დელეგაციაც, კიდევ ერთხელ განმარტოვდა სახვალიო სტრატეგიის შესამუშავებლად.

თბილისის დროით კი... თუმცა, უკვე პარიზშიც გადასულია შუაღამე...

გიორგი ნოზაძე

პარიზში მარჩელო ლიპიც ჩავიდა

ფრანგთა თავკაცი რაიმონ დომენეკი (მარცხნივ) შეხვედრის დაწყებისას იმედიანი ჩანდა

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

LEVON TREVEL-ი გაძლევთ უნიკალურ შანსს, 22 თებერვლიდან 2 მარტამდე იმოგზაუროთ მალტაზე და დაესწროთ საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშებს.
საგზურის ღირებულება 950 დოლარიდან.
ღირებულებაში შედის მგზავრობა „LUFTHANSA“-ს თვითმფრინავით, ცხოვრება 3* სასტუმროში, ვიზა და დახვედრა-გაცილება.
იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება მხოლოდ 10 თებერვლის ჩათვლით.

ტელ: 25-00-10, 25-00-60, 25-01-99
მობ: 899 537845
ჭავჭავაძის 20. „LEVON TREVEL“

ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი
I მატჩი
ესპანიოლი 2:1 დეპორტივო

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ძსანთი 0:1 *ოლიმპიაკოსი* (1:1)

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXV ტური
მონპელიე 0:0 ვალანსიენი

როიალ ლიგა 2006

A ჯგუფი. III ტური
მიდტიულანდი (დანია) 4:1 ჰამარბი (შვედეთი)
B ჯგუფი. III ტური
ბრონდბიუ (დანია) 1:2 კოპენჰაგენი (დანია)
C ჯგუფი. III ტური
ოლბორგი (დანია) 2:1 ლინი (ნორვეგია)

ოთხთა ტურნირი

სპარტაკი (რუსეთი) 1:2 შახტარი (უკრაინა)
ცსკა (რუსეთი) 1:1 დინამო (უკრაინა)

აფრიკის თასი

მატჩი მე-3 ადგილისთვის
ნიგერია 1:0 სენეგალი

*123#

- სიახლე
- ლოგოები
- მელოდიები
- ნახატები
- 18 +
- ჰოროსკოპი
- ვალუტის კურსი
- ფეხბურთი
- ამინდი

GEO ჯეო



მიქსი MIX

wap.geocell.com.ge

- ჰოლიფონიური მელოდიები
- MP3
- ფერადი ფონები
- ფერადი ანიმაციები
- ვიდეო
- თემები
- თამაშები
- ჰოროსკოპები
- 18+
- ჰოროსკოპი
- ფეხბურთი
- ამინდი
- ვალუტის კურსი

ჟორჟიკაშვილს მინგე შეცვლის

მიხეილ სააკაშვილმა სტადიონები მოიკითხა

ბადრი ჯალილაშვილის ფოტო

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს დამაჯერებლად, 5:0 მოუგო, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის: ორი ნაკრების „შეჯვარება“ ადრე თუ გვიან აუცილებლად უარყოფითად აისახებოდა ერთ-ერთის ან ორივეს შედეგებზე. ჩანს, ამ მოსაზრებას უკვე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც ეთანხმება.

ბოლო დროს გახშირდა ლაპარაკი ახალგაზრდულ ნაკრებში ახალი მთავარი მწვრთნელის გამოჩენის თაობაზე, გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ ეს ინფორმაცია, ფაქტობრივად, დაგვიდასტურა...

— კვამლი უცეცხლოდ ნამდვილად არ ჩნდება. ალბათ აჯობებს, ორივე ნაკრებს, 19-წლამდელებს და 21-წლამდელებს ცალ-ცალკე დამრიგებელი ჰყავდეთ.

— რამდენად რეალურია ახალგაზრდულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის ორი თანაშემწიდან ერთ-ერთის გამთავარმწვრთნელება?

— საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია, თუმცა შეიძლება ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რალფ მინგე გახდეს.

— უეფამ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების შესარჩევი ციკლები ერთმანეთისგან განაცალკევა და ალბათ მინგე კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეობასაც შეძლებს...

— რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ ნაკრებში დანიშვნის შემთხვევაში, ის კლაუს ტოპმიოლერის ასისტენტად დარჩება. კობა ჟორჟიკაშვილი კი 19-წლამდელთა მთავარი მწვრთნელობის პარალელურად, ახალგაზრდულ ნაკრებში მინგეს დაეხმარება. ვფიქრობთ, ეს ორივესთვის სასარგებლო იქნება — ერთის მხრივ, კობა მინგესგან გაშოცდილებას შეიძენს, მეორეს მხრივ კი, მას ამომწურავი ინფორმაცია გააჩნია თითოეულ ფეხბურთელზე და ეს გერმანელ მწვრთნელს მუშაობას გაუადვილებს.

— ცალ-ცალკე მწვრთნელი საკადრო დაყოფასაც ნიშნავს და ახალგაზრდულში ალბათ სხვა კონტინგენტი ითამაშებს...

— ალბათ, თუმცა პერსპექტივაში მინგესა და ჟორჟიკაშვილის თანამშრომლობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ უმტკივნეულოდ მოხდეს ჭაბუკთა ნაკრებიდან ახალგაზრდულში ფეხბურთელების დაწინაურება.

— რა უშლის ხელს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას?

— ვერაფრით მოვახერხეთ შეკრება. ნოდარ ახალკაცის და კლაუს ტოპმიოლერის თბილისში დაბრუნების შემდეგ ამ საკითხზე სერიოზულად ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

— მათი დაბრუნება ჯერ 11 თებერვალს იგეგმებოდა, მერე 14-ში, მაგრამ ასეც არ ხერხდება...

— რამდენიმე მართლაც სერიოზული შეხვედრაა დაგეგმილი და ისინი თბილისში ალბათ 16 თებერვალს დაბრუნდებიან.

— რა სიახლეა სტადიონებთან დაკავშირებით?

— ცუდია, რომ ამჟამად ვოკა გაბაშვილი და დავით ნამგალაური თბილისში არ იმყოფებიან, თუმცა პრინციპული შეთანხმება მიღწეულია და თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში სამუშაოები დაიწყება.

— ორივე სტადიონზე?

— აქცენტი უფრო „ეროვნულზე“ კეთდება, თუმცა გვინდა, „მიხეილ მესხსაც“ მივხედოთ — იქ უფრო მინდვრის საფარია გამოსაცვლელი. მდგომარეობას ის ართულებს, რომ „მიხეილ მესხი“ რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნის და წილობრივი დეტალებია შესათანხმებელი.

— და სახელმწიფომ ხომ ამ საქმეშიც მაქსიმალური დახმარება აღგითქვათ...

— სხვათა შორის, მიუნხენიდან საქართველოს პრეზიდენტთან ერთად მომიწია ფრენამ. ბატონი მიხეილ საკაშვილი დაინტერესდა სტადიონების საკითხით და, როცა ვუთხარი, მოლაპარაკებები მიმდინარეობს-მეთქი, მითხრა, მაქსიმალურად დააჩქარეთ ეს პროცესიო. სახელმწიფო სტრუქტურების და პირადად პრეზიდენტის მხრიდან ყურადღებას ნამდვილად ვგრძნობთ. კი ვთქვი, აქცენტი უფრო ეროვნულ სტადიონზე კეთდებამეთქი, მაგრამ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ სასექტემბროდ ორივე სტადიონი იქნება წესრიგში.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს მესამე კუნძული

კაიზერიდან ბელარუსამდე

მალტის ოთხთა საერთაშორისო ტურნირამდე 15 დღე დარჩა, მეტოქეებიც ცნობილია და კალენდარიც — მხოლოდ ის ვაირკვა საბოლოოდ, რომ მოლდოვა კუნძულზე ახალგაზრდულ ნაკრებს გაამგზავრებს, ლიბია და მალტა კი ეროვნული გუნდებით ითამაშებენ.

სხვათა შორის, მალტის ტურნირი 1986 წლიდან ტარდება და მასში არა მარტო ნაკრებები, კლუბებიც მონაწილეობდნენ. აქვე ტურნირის ყველა გამარჯვებულის სიაც:

1986 — „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია)
1987 — „შტუტგარტი“ (გერმანია)
1988 — გდრ-ის ოლიმპიური ნაკრები
1989 — ალჟირი
1990 — ნორვეგია
1992 — მალტა
1994 — სლოვენია
1996 — რუსეთი
1998 — საქართველო
2000 — მალტა
2004 — ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრები

საქართველომ ამ ტურნირში პირველად 1994 წელს ითამაშა და პირველივე შეხვედრაში სლოვენიასთან წააგო, შემდეგ კი მალტასა და ტუნისს მოუგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

1998 წელს ჩვენი ნაკრები მეორედ მიადგა კუნძულს, სამივე მეტოქეს მოუგო და ტურნირის ჩემპიონობაც მოიპოვა. მაშინ ქართველებს ვლადიმერ გუცაევი წვრთნიდა.

საქართველო მალტის ტურნირზე: 6 მატჩი, 5 მოგება, 1 წაგება, ბურთები 11:3.

1994

საქართველო 0:1 სლოვენია

საქართველო 1:0 მალტა

ქეცბაია

საქართველო 2:0 ტუნისი

ყველაშვილი, კუდინოვი

1998

საქართველო 2:1 ლატვია

ჯამარაული (2)

საქართველო 3:0 ალბანეთი

ქეცბაია, ყველაშვილი, ა. იაშვილი

საქართველო 3:1 მალტა

ყველაშვილი (2), ჯამარაული

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ალბანეთი ლიტვამაც შეიგულა

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე ლიტვა 1 მარტს ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს ტირანაში ალბანეთის ნაკრებთან.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის იულიუს კვედარასის განცხადებით, ალბანურ მხარესთან შეთანხმება მიღწეულია და მცირედი დეტალებიღა დარჩა დასაზუსტებელი.

შეგახსენებთ, ჰანს-პეტერ ბრიგელის ალბანეთი 22 მარტს საქართველოს ნაკრებსაც უმასპინძლებს.

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ამხანაგური მატჩი
ახალგაზრდულები

ჩვენ გვიცავს ჩვენი მსაჯი!

აზერბაიჯანთან ამხანაგობის ფასი: მოაწონე თავი გერმანელებს

ბადრი კვირკელიძის ფოტო

ჰაინც ტოპმიოლერი და რალფ მინგე

თბილისი. 9 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი. 900 (ტევადობა 2 000)

საქართველო 5:0 აზერბაიჯანი

1:0 გოცირიძე (8), 2:0 ჭელიძე (30), 3:0 გოცირიძე (38), 4:0 გელაშვილი (84), 5:0 წინამძღვრიშვილი (87)

საქართველო: თევდორაძე (ალავიძე 46), სეთურიძე, ხიდეშელი, ხუმარაშვილი (მჭედლიშვილი 46), გ. ფოფხაძე, ბენაშვილი, განუგრავა (ყიფიანი 87), ძარია (წულაძე 40), გ. ნუგ. ჭელიძე (ბეჟალავა 46), გოცირიძე (გელაშვილი 72), წინამძღვრიშვილი *სათადარიგო:* ელბაქიძე, გვიძბია, დუშვილი **მწვრთნელი:** კობა ფორფიკაშვილი	**აზერბაიჯანი:** ქარიმი (აგაევი 46), ისკანდიროვი (ე. ალიევი 44), იუშუნ-ოღლი, იუსიპოვი, კასუმოვი, მამედოვი (ტაშტამიროვი 46), მატატოვი, აგაკიშიევი (სულთანოვი 72), ახტიამოვი (ჰუსეინოვი 52), ნადიროვი, გურბანოვი *სათადარიგო:* აგიარ-ზადე, ვ. ალიევი, ადიშირინოვი, ზეინალოვი, აბდულაევი **მწვრთნელი:** ნაზიმ ალიევი

გაფრთხილება: იუნუშ-ოღლი (5), ხუმარაშვილი (25), ჰუსეინოვი (60), ადაევი (85)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე (სამივე საქართველო)

ბადრი კვირკელიძის ფოტო

ბექა გოცირიძე (№9) აზერბაიჯანელებთან დუბლით გამოირჩა

დავით თავართქილაძე

კევილეჭია რალფ მინგეს და ჩაფიქრებულ ჰაინც ტოპმიოლერს ფურცელ-კალამი მოემარჯვებინათ და დროდადრო იღიმებოდნენ კიდეც. მათი ღიმილის მიზეზი მეტწილად არბიტრ ლევან კვარაცხელიას გადაწყვეტილებები იყო.

ჩვენ გვიცავს ჩვენი მილიცია! იყო ასეთი ლოზუნგი და გუშინ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავისი მცველ-მეკარეების გარდა კვარაცხელიაც იცავდა და პირველ ტაიმში ორი პენალტი არ დანიშნა ჩვენი ნაკრების კარში — ასე ჩანდა ტრიბუნიდან და ვეჭვობ, ვიდეოფირზე სხვანაირად გამოჩნდეს. ისე, ერთი-ორი კარგი კვარაცხელია ჩვენ ბიჭებს შესარჩევ ეტაპზეც ძალიან გამოადგებოდათ, მაგრამ უეფაში ეგეთები არ ჭრის...

მინგე-ტოპმიოლერი კი ალბათ დიდი სტიმული იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებისთვის — გუნდს მალე ახალი დამრიგებელი ეყოლება, ვინც ტოპმიოლერის შტაბის რეკომენდაციით დაინიშნება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აზერბაიჯანისას გუშინდელი მატჩიდან ორი დღით ადრეც ეპაექრა და 1:1-ზე მეტს ვერ გამორჩა. გუშინ კი ჟორჟიკაშვილმა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა, რაც გუნდს წაადგა. ბიჭებიც უფრო მონდომებულები და ალესილები იყვნენ.

კარგად ამწვავებდნენ თამაშს ლოკომოტიველი გიორგი სეთურიძე მარჯვენა ფლანგიდან და გიორგი ჭელიძე ცენტრიდან, თავდასხმაში მოუსვენარი და აგრესიული ბექა გოცირიძე ჩაუქობდა — ჩვენი გუნდის შეტევათა მთავარ ძალას ეს სამეული წარმოადგენდა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა ალექსი ბენაშვილიც.

პირველი გოლისას ზესტაფონელმა გოცირიძემ ჩვენებურთა შტურმისმაგვარ შეტევას დაუსვა წერტილი 8-9 მეტრიდან, მეორე ჯერზე კი ოსტატურად გადაავლო ბურთი აზერბაიჯანელთა მეკარე დავუდ ქარიმს. მას დინამოელმა ჭელიძემ ოციოდე მეტრიდანაც გაუტანა — ასეთი იყო პირველი ტაიმის გოლები.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებულიც იყო, როცა აზერბაიჯანელებმა ერთხელაც მოითხოვეს 11-მეტრიანი — ამ საკამათო პოზიციაშიც არბიტრმა კვარაცხელიამ ჩვენების სასარგებლოდ ჩასტვინა.

აქედან ცოტა ხანში ქართველებს მეორე გოლის გატანა მართებდათ — რატი წინამძღვრიშვილმა და ბექა გოცირიძემ კარგად გაათამაშეს ბურთი, აზერბაიჯანელთა მეკარემ იამრან აგაევმა იმარჯვა, არეულობაში ბურთი ისევ გოცირიძეს მიუვიდა და კვლავ აგაევმა იყოჩაღა.

ამის შემდეგ გუნდები თითქოს ჩაცხრნენ, სტუმრები მარცხს შეეგუვნენ, ჩვენებს კი გამარჯვება უკვე ჯიბეში ედოთ, მაგრამ საგოლე საღერღელი ისევ აშლილი იყო, ეს განსაკუთრებით წინამძღვრიშვილს ეტყობოდა.

გიორგი განუგრავამ კარგად გაუჭრა პასი დავით მჭედლიშვილს, ვინც მარჯვნიდან შეიჭრა აზერბაიჯანელთა საჯარიმოში, ძლიერად დაარტყა, აგაევმა მოიგერია და დამატებაზე ვიტჯორჯიელმა ნიკა გელაშვილმა იხეირა — 4:0.

ამერელი წინამძღვრიშვილი კი ერთადერთი აღმოჩნდა, სტუმრებს გოლი თავურით რომ გაუტანა — მჭედლიშვილის მიერ დაბზრიალებულ ბურთზე მეტოქე მცველს გადააფრინდა და აგაევსაც აუღებელი დაურტყა.

მინგემ და ტოპმიოლერმა ბლოკნოტები დახურეს და სანამ დავთრებს კლაუს ტოპმიოლერსაც გააცნობენ, უნდა ველოდოთ — როგორი იქნება საქართველოს 21-წლამდელი ნაკრები ახალი მწვრთნელის ხელში?

ბადრი კვირკელიძის ფოტო

გოგი ფიფია

ზესტაფონმა კოლუბარაც მოილია

თემურ მახარაძის „ზესტაფონმა“ კვიპროსულ შეკრებაზე მესამე ტესტ-მატჩი გამართა — სერბეთის მესამედივიზიონელ და თასის ნახევარფინალისტ „კოლუბარას“ 3:1 მოუგო.

ფეროელები 3:0-ს იგებდნენ და ერთადერთი გოლი ბოლო წუთებზე გაუშვეს, როცა მახარაძეს ძირითადი შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეცვლილი ჰყავდა. „ზესტაფონის“ პირველი გოლი გრიგოლ იმედაძემ მე-40 წუთზე შეავდო, ხოლო გოგი ფიფიამ 62-ე და 75-ე წუთებზე გაუტანა „კოლუბარას“.

ზესტაფონელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ჭანტურია, ძმსაშვილი, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ბ. ნოზაძე, ნუდნი, თურმანიძე, იონანიძე, ფიფია, იმედაძე.* შეცვლაზე შევიდნენ: *გიორგიძე, გორგიაშვილი, ჯანელიძე, შარანგია, პანოვი, გელაჭეიშვილი, თარხნიშვილი, გავაშელიშვილი.*

ფეროელები 13 თებერვალს კორეულ „სეულს“ წაეამხანაგურებიან. მანამდე კი, შესაძლოა, ღღესვე, რუმინულ „არჯეშს“ გაეჯიბრონ. თუ „არჯეშთან“ მატჩი შედგა, მახარაძე ახალგაზრდებს მისცემს შანსს.

ილია ნანოგაშვილი

აფციაურმა სპორტული მონახა
პირველი ქართველი რუმინეთში?

გუშინ ვწერდით, თორნიკე აფციაური თურქეთის ერთ-ერთ კლუბში წავიდაო. „ბორჯომის“ ნახევარმცველი მართლაც თურქეთშია, ოღონდ შეკრებაზე მყოფ ბუქარესტის „სპორტულს“ შეუერთდა.

აფციაური გასინჯვაზეა და მალე გადაწყდება, დარჩება თუ არა „სპორტულში“. ცნობისთვის, ეს გუნდი რუმინეთის თექვსმეტგუნდა ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა, წინა სეზონი კი მეშვიდეზე დაასრულა.

აქვე ვთქვათ, რომ რუმინულ კლუბში აქამდე არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია.

ილია ნანოგაშვილი

ქართველი ტყუპები ყარაბახში

აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ფული კი ჩაიდო, მაგრამ ზოგ კლუბს საქმეები ცუდად წაუვიდა. მაგალითად, „ვიანჯას“, რომელსაც უკვე ფეხბურთელებიც გაექცნენ და მათ შორის არიან ქართველი ტყუპებიც — ირაკლი და გოგა ბერაიები.

ჩვენებურებმა უკვე ახალი გუნდის მოძიებაც მოასწრეს — ძმებმა ექვს-ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმეს „ყარაბახთან“.

საინტერესოა, რომ ირაკლი ბერაია პირველი წრის მერე 8 გატანილი ბურთით აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ირაკლი და გოგა ბერაიები

კახა შალამბერიძე

ტური საეჭვო და ეჭვიანი ხალხისთვის

AFP ფლორენციიდან

ბროკის „ფიორენტინამ“ ფიგუს „ინტერს“ 21-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტა

იტალია
სერია A
XXIV ტური

მილანი 5:0 ტრევიზო

1:0 კაკა (14), 2:0 შევჩენკო (54), 3:0 ჯილარდინო (63), 4:0 შევჩენკო (66), 5:0 ინძაგი (74)

მილანი: დიდა, შიმიჩი (იანკულოვსკი 76), ნესტა (კოსტაკურტა 46), სტამი, სერჟინიო, გატუზო, ფოგელი, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო (ფ. ინძაგი 67), ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ტრევიზო: სერენი, დელაფიორე, ვიალი (ჯულიატო 33), გუსტავო, ხ. ვალდესი, მაჯო, პარავიჩინი, ა. ფილიპინი, პინგა (ბორიელო 66), რეგინალდო, ფავა პასარო (გიგუ 46)

მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი

გაფრთხილება: ფილიპინი, ჯულიატო

მსაჯი: სტეფანინი

52 017 მაყურებელი

იუვენტუსი 1:1 პარმა

0:1 დესენა (39), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (45)

დელ პიერომ ვერ გაიტანა პენალტი (89, ააცილა)

იუვენტუსი: ბუფონი, ძამბროტა (ბლაზი 51), ტურამი, ფ. კანავარო, ბალძარეტი, მუტუ (კამორანეზი 81), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი (ტრეზეგე 46)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

პარმა: გუარდალბენი (ბუჩი 80), ბონერა, ჰ. კანავარო, ფ. კოუტუ, კონტინი, დესენა, გრელა, ბოლანო (ჩიგარინი 57), ბრეშიანო, მარკიონი, კორადი

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: კონტინი, კორადი

მსაჯი: პალანკა

25 719 მაყურებელი

ფიორენტინა 2:1 ინტერი

1:0 ბროკი (10), 2:0 ხიმენესი (60), 2:1 რეკობა (85)

ფიორენტინა: ლობონტი, უიფალუში, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, ფიორე, ბროკი, პაზიენცა, იორგენსენი, ტონი, ბოჟინოვი (ლ. ხიმენესი 57)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, ვ. საშუელი, ბურდისო (დ. პიზარო 85), ფიგუ, ვერონი, კამბიასო (კილი გონსალესი 72), დ. სტანკოვიჩი, ადრიანო, ხ. კრუზი (რეკობა 66)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ძანეტი, ფიორე, ფიგუ, ხიმენესი

მსაჯი: ტრეფოლონი

41 400 მაყურებელი

რომა 4:3 კალიარი

0:1 სუაცო (15), 0:2 ლანჯელა (19), 1:2 პეროტა (25), 2:2 დე როსი (35), 2:3 კონტი (56), 3:3, 4:3 ტოტი (80პ, 90პ)

რომა: დონი, პანუჩი (როზი 75), მექსეში, ბოვო, კუფრე, დე როსი, აკილანი (მონტელა 65), ტადეი (ე. ალვარესი 86), პეროტა, მანსინი, ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

კალიარი: კიმენტი, ფერი, ბიზერა, ბეგა, აგოსტინი, მ. ესპოზიტო (ფ. პიზანო 90), ბუდელი, კონტი (კონტიკიო 71), გობი, სუაცო, ლანჯელა (კანინი 46)

მწვრთნელი: ნედო სონეტი

გაფრთხილება: ბოვო, ბიზერა, აკილანი, ბიზერა, კონტი, ლანჯელა, ბოვო

გაძევება: ბიზერა (45), ბოვო (77)

მსაჯი: ჯირარდი

უმაყურებლოდ

პალერმო 3:1 ლაციო

1:0 გონსალესი (12), 2:0 ტედესკო (58), 3:0 კარაჩოლო (66), 3:1 ბელერი (85)

პალერმო: ანდუხარი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, ბარონე, კორინი (ჯია ტედესკო 52), მუტარელი, მ. გონსალესი (ბრიენძა 71), დი მიკელე, კარაჩოლო (გოდეაში 78)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

ლაციო: პერუცი, ბელერი, სივილია, კრიბარი (სტენდარდო 51), ძაური, ბეჰრამი, ლივერანი, მუდინგაი, მაური, დი კანიო (ტარე 59), როკი (ბონანი 76)

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: ბარძალი, ბეჰრამი, ლივერანი, ბეჰრამი, მუტარელი, კარაჩოლო

გაძევება: ბეჰრამი (62)

მსაჯი: როკი

27 074 მაყურებელი

კიევო 1:1 სამპდორია

0:1 კუტუზოვი (30), 1:1 სკურტო (63)

კიევო: ა. ფონტანა, მალაგო, მანდელი, სკურტო, ლანა, სემიოლი, სამარკო (ძანკეტა 9), ჯუნტი, დ. ფრანჩესკინი, პელისიერი (ტირინბოკი 87), ამაური

მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი

სამპდორია: ანტონიოლი, მ. კასტელინი, პავანი, იულიანო, მ. პიზანო, დიანა, ვოლპი, პალომბო, კუტუზოვი (კ. ძენონი 38), ფლაკი (ფოტი 90), კოლომბო (დალა ბონა 85)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

გაფრთხილება: მანდელი, პავანი, იულიანო, პიზანო, ვოლპი, იულიანო

გაძევება: იულიანო (81)

მსაჯი: მორგანტი

5 000 მაყურებელი

უდინეზე 1:2 რეჯინა

1:0 იაკინტა (16), 1:1, 1:2 ამორუზო (41, 64)

უდინეზე: დე სანქტისი, საპატა, ფელიპე, ნატალი, პიერი, დ. ძენონი (ბარტო 78), ტისონე (ვიდიგალი 70), ბარონიო, კანდელა, დი ნატალე (როსინი 70), იაკინტა

მწვრთნელი: სერსე კოზმი

რეჯინა: პელიცოლი, ი. ფრანჩესკინი (გიოსა 19), დე როზა, ა. ლუკარელი, მესტო, კანობიო (ბიონდინი 72), პარედესი, ჯიო ტედესკო, მოდესტო, ვიჯანი (მისიროლი 83), ნ. ამორუზო

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: დე როზა, ლუკარელი, გიოსა

მსაჯი: მაცოლენი

15 046 მაყურებელი

ასკოლი 0:0 ლივორნო

ასკოლი: ფ. კოპოლა, კომოტო, დომიციი, პაჩი, დელ გროსო, ფოჯა (კალიარელა 83), გუანა, პაროლა, ფინი (კარიელო 76), ფერანტე (ჯამპა 70), ბიელანოვიჩი

მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო

ლივორნო: ამელია, ფანუჩი, არჯილი, გალანტე, ბალერი (პფერცელი 88), მორონე, რუოტოლო, დე აშენტისი, კოკო, ჯ. კოლუჩი (პალადინო 80), კ. ლუკარელი

მწვრთნელი: მარიო ბორტოლაცი

გაფრთხილება: რუოტოლო

მსაჯი: ფარინა

9 043 მაყურებელი

ლეჩე 1:2 ემპოლი

0:1 ალმირონი (3), 0:2 ტავანო (41პ), 1:2 ლედესმა (82პ)

ლეჩე: ბენუსი, დიამუტენე, პეკორარი (კამიზა 48), სტოვინი, რულო, კასეტი, ლედესმა, ჯორჯინო, კონანი (კოცოლინო 62), პინარდი (ა. ვალდესი 68), ვუჩინიჩი

მწვრთნელი: მარიო რიცო

ემპოლი: კეხასი, ვანილი, კოდა, ლუკინი, ტოსტო, ფ. მორო, ფიჩინი, ალმირონი (ვანუკი 68), ბუშე, პოცი (რიგანო 59), ტავანო (რაჯი 85)

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

გაფრთხილება: სტოვინი, ტოსტო, კასეტი, მორო

გაძევება: ვუჩინიჩი (90)

მსაჯი: ბერგონცი

9 753 მაყურებელი

მესინა 0:0 სიენა

მესინა: სტორარი, არონიკა, რეზაეი, ძანკი, სკული, რაფაელი (ანტონელი 69), დონატი, კ. კოპოლა (ბონდი 72), ინოჩენტი, ფლოჩარი (მუსლიმოვიჩი 67), დი ნაპოლი

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

სიენა: ფორტინი, ნეგრო, ლეგროტალიე, პორტანოვა, ფალზინი (გასტალდელო 46), ალბერტო, პარო, ვერგასოლა, ლოკატელი (ტუდორი 68), კიეზა, ბოგდანი (ვოლპატო 51)

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

მსაჯი: ჯანნიჩარო

17 779 მაყურებელი

რომელი ერთით დავიწყოთ, ლიდერმა შინ ქულები რომ დაკარგა, „ინტერი“ „ფიორენტინამ“ რომ დაიფრინა, „რომამ“ ზედიზედ მერვედ რომ მოიგო თუ საქართველოს ნაკრების კაპიტნის გუნდმა, „მილანმა“ „ტრევიზოს“ 5:0 რომ გადაურბინა? ალბათ, უფრო ლოგიკური რიგითობის დაცვა იქნებოდა, თუმცა შეიძლებოდა, კახა კალაძის „მილანით“ დაგვეწყო, ოღონდ... კალაძეს ამ ტურში არ უთამაშია, დისკვალიფიცირებული იყო.

მაგრამ, მოდი, შვიდგოლიანი თამაშით, „რომა“ — „კალიარით“ დავიწყოთ, მით უფრო, როგორც გითხარით, ეს რომაელთა მიჯრით მერვე გამარჯვება გახლდათ, რაც კლუბის ისტორიაში რეკორდად ჩაიწერება.

ისე, გაგიგიათ იტალიური ქალაქი რიეტი? ეს სწორედ ის ადგილია, სადაც „რომამ“ „კალიარის“ უმასპინძლა. თამაშს კაციშვილი არ ესწრებოდა, ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ორი ტურის წინ, „ლივორნოსთან“ შეხვედრაში რომაელ გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა ტრიბუნიდან ანტისემიტური პლაკატი გადმოკიდა და გუნდი დაუსაჯეს.

შვიდიდან პირველი ორი გოლი სარდინიელებმა გაიტანეს, თუმცა რომაელებმა ანგარიში ათწუთიან მონაკვეთში, 24-ე და 34-ე წუთებზე გაქვითეს. პირველი ტაიმი კიდევ იმით გახლდათ საინტერესო, რომ ფრანჩესკო ტოტის წინააღმდეგ მორიგი უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათით დასაჯეს ანუ უფრო იოლად რომ ვთქვათ, მოედნიდან გააგდეს კალიარელი ჯო ბიზერა.

მაგრამ, დაიწყო მეორე ტაიმი და წინ ისევ დაუდგრომელი სარდინიელები გავიდნენ, რასაც რომაელი ჩეზარე ბოვოს გაძევებაც მოჰყვა. მოდი, აქ ასეთი რამ აღვნიშნოთ: მართალი იყო თუ არა მსაჯი ჯირარდი, ბოვოს რომ აძევებდა, კაცმა არ იცის. ასევე საეჭვოა, რამდენად სამართლიანი იყო პირველი პენალტი „კალიარის“ კარში, რომელიც, ისევე, როგორც მეორე, 90-ე წუთზე, ტოტიმ გაიტანა.

ჰოდა, შემდეგ თემაზე გადასასვლელად ჩინებული საშუალებაც მოგვეცა — ასევე ძალიან საეჭვო იყო „იუვენტუსისა“ და „პარმას“ შეხვედრაში 87-ე წუთზე დანიშნული პენალტის წარმომავლობაც. დისკვალიფიკაციამოხდილ პატრიკ ვიეირას მაურო კამორანეზის ჩაწოდებული ბურთისთვის თავი უნდა დაერტყა, მაგრამ ვინჩენცო გრელასთან მეტისმეტად მსუბუქმა, ანდა, კაცმა პირდაპირ რომ თქვას, არმომხდარმა შეხებამ საჯარიმოში გაშოტა და ფსევდოფენალტი არ ჩასასტვინებელი ნამდვილად. ეს ფენალტი კი ალესანდრო დელ პიერომ აღადგინა — პენალტის ნიშნულიდან ხარიხას გაარტყა ბურთი.

სხვათა შორის, იმ დღეს დელ პიერომ კიდევ ერთხელ გაარტყა ხარიხას, ოღონდ თამაშიდან, ხოლო გოლი ჯერ ტურინელთა კარში გავიდა და მერე პარმელთა. ისე კი, 63-ე წუთზე „პარმას“ მომენტი ჰქონდა... მანუელე ბლაზის სისულელე მოუვიდა, ბურთი უკან, მეტოქე ბერნარდო კორადის გადააწოდა, რომელმაც აბსოლუტურად დაუცველ კარს ვერ დაუმიზნა.

რაც შეეხება „ინტერს“, ამ გუნდს ყველა შეჯიბრებაში ერთად წაუგებელი 21-თამაშიანი სერია გაუცუდდა. იგი „ფიორენტინამ“ დამარცხა. ფლორენციელთაგან პირველი გოლი ბროკიმ, მეორე კი ახლახან, ინვარში შეძენილმა ლუის ხიმენესმა გაიტანა.

ბოლოს „მილანისაც“ ვთქვათ... თუმცა რა უნდა ვთქვათ? ერთხელაც შეხედეთ ანგარიშს. განა ყველაფერი ნათელი არ არის?

პაპუნა კედია

იუვენტუსი	24	20	3	1	49:14	63
ინტერი	24	17	3	4	47:18	54
მილანი	24	16	3	5	53:23	51
ფიორენტინა	24	15	5	4	41:23	50
რომა	24	13	6	5	46:25	45
ლივორნო	24	10	9	5	26:25	39
კიევო	24	9	8	7	31:27	35
სამპდორია	24	9	7	8	37:31	34
ლაციო	24	8	10	6	30:29	34
პალერმო	24	7	9	8	35:38	30
სიენა	24	6	8	10	29:38	26
უდინეზე	24	7	5	12	24:35	26
რეჯინა	24	7	5	12	25:39	26
ასკოლი	24	5	10	9	24:30	25
მესინა	24	4	11	9	21:31	23
კალიარი	24	5	7	12	27:39	22
პარმა	24	5	7	12	27:43	22
ემპოლი	24	6	4	14	27:44	22
ტრევიზო	24	2	8	14	14:36	14
ლეჩე	24	3	4	17	16:41	13

ბომბარდირები

ტონი (ფიორენტინა)	22
ტრეზეგე (იუვენტუსი)	18
ტოტი (რომა)	15
შევჩენკო (მილანი)	14
ტავანო (ემპოლი)	13
ჯილარდინო (მილანი)	13

XXV ტური

11-12 თებერვალი

პარმა	:	ასკოლი
ტრევიზო	:	კიევო
ლივორნო	:	ფიორენტინა
ინტერი	:	იუვენტუსი
კალიარი	:	ლეჩე
სამპდორია	:	მესინა
რეჯინა	:	მილანი
ემპოლი	:	პალერმო
სიენა	:	რომა
ლაციო	:	უდინეზე

დელ პიერომ პენალტი ვერ გაიტანა

სერია B
XXVIII ტური

კატანძარო 2:1 ტრიესტინა
კატანია 3:2 კროტონე

კატანია	28	15	8	5	42:29	53
მანტოვა	28	14	10	4	35:21	52
ატალანტა	28	15	5	8	42:31	50
ჩეზენა	28	13	8	7	41:30	47
ბრეშა	28	11	13	4	37:23	46
ტორინო	28	11	11	6	31:24	44
არეცო	28	11	10	7	29:20	43
კროტონე	28	11	7	10	29:28	40
პესკარა	27	11	7	9	28:27	40
პიაჩენცა	28	9	11	8	38:33	38
ბოლონია	28	9	11	8	31:29	38
ვერონა	27	8	12	7	30:25	36
რიმინი	28	9	9	10	32:33	36
მოდენა	28	7	13	8	36:32	34
ტრიესტინა	28	8	10	10	28:33	34
ვიჩენცა	28	9	6	13	28:36	33
ბარი	28	7	11	10	28:32	32
ტერნანა	28	5	12	11	22:36	27
აველინო	28	6	9	13	28:46	27
ალბინოლეფე	28	4	13	11	20:32	25
კატანძარო	27	5	6	16	16:36	21
კრემონეზე	27	3	8	16	21:36	17

AFP სარაგოსადან

რობინიოს „რეალი“ „სარაგოსამ“ ატირა

ღიმილი მინდა, მაგრამ სად არის? დიეგოოოოლ!

AFP სარაგოსადან

დიეგო მილიტოს მიკროფონებით დასდევდნენ

ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

სარაგოსა 6:1 რეალი

1:0, 2:0, 3:0 დ. მილიტო (14, 21, 33), 3:1 ჟულიო ბაპტისტა (37), 4:1 დ. მილიტო (56), 5:1, 6:1 ევერტონი (59, 82)

სარაგოსა: კარლოს სანჩესი, ალვარო, გ. მილიტო, ჩანი (სერხიო გარსია 81), პონციო, სელადესი (მოვილია 89), ოსკარი, ხენერელო, საპატერი, ევერტონი, დ. მილიტო

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

რეალი: კასილიასი, სალგადო, სერხიო რამოსი, ი. ელგერა (ფ. პავონი 42), რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (ზიდანი 64), გუტი, ჟულიო ბაპტისტა (კასანო 66), რონალდო, რობინიო

მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო

გაფრთხილება: გ. მილიტო, ალვარო, სერხიო რამოსი, გუტი

მსაჯი: პერეს ბურული

32 000 მაყურებელი

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმ „ასთან“ ინტერვიუში ახლახან თქვა, სამეფო გუნდის კრიზისი წარსულს ჩავაბარეთ და „სანტიაგო ბერნაბეუსაც“ დაკარგული ღიმილი დავუბრუნეთო. ოთხშაბათ საღამოს კი კოპა დელ რეის ნახევარფინალის პირველ მატჩში ნაქებმა „რეალმა“ „სარაგოსასთან“ 1:6 წააგო და თასს ალბათ თავიც დაუკრა 5:0, 7:1 და სხვა ამგვარი რევანშის იმედი ვინძლო მადრიდელთა თავგადაკლულ ფანებსაც აღარა აქვთ. 7 წელია, „რეალს“ თასზე ასეთი საშინელი ფიასკო არ უნახავს. მაშინ, 1999 წლის 9 ივნისს, ჯონ ტოშაკის გუნდი კალუდიო რანიერის „ვალენსიამ“ მოსპო სწორედ ამ ანგარიშით. და ერთიც: „სარაგოსასთან“ გალაქტიკოსებს ანდერძი დიეგო მილოტომ აუგო, იმ გაბი მილიტოს ძმამ, ორი სეზონის წინ „რეალმა“ მუხლის სისუსტისთვის რომ დაიწუნა და „სარაგოსაში“ გადაადგო. დიეგო მილიტომ 4 გაიტანა, ბრაზილიელმა ევერტონმა 2 და ბოლო მატჩებში ვითომ მოღონიერებულ „რეალსაც“ ისევ ის ავადსახსენებელი კრიზისი გაახსენეს...

უშუალოდ მატჩის პერიპეტიებს მივხედოთ. ლოპეს კარომ არაგონელებთან თამაშის წინ დაცვა თითქმის მთლიანად გამოცვალა და ეს ექსპერიმენტი საშინელი გამოვიდა. მოედანზე ვუდგეიტისა და სისინიოს ნაცვლად ელგერა და სალგადო გამოვიდნენ, რაც „რეალს“ აშკარად არ წაადგა. ასევე ნაკლებად მოსალოდნელია, 8 თებერვლის შეხვედრა ვიდეოზე სამახსოვროდ შეინახოს სერხიო რამოსმა — თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული და მისი და სხვა მცველთა ბედოვლათობით ანგარიში უკვე 3:0 გახლდათ დიეგო მილიტოს ჰეთ თრიქის წყალობით

არგენტინელმა მილიტომ (რომლის „სინდისზეც“ მეოთხედფინალში „ბარსელონას“ გაძევებაა) „ლა რომარედაზე“ დაამტკიცა, რომ ესპანური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. დიეგომ „რეალის“ უკანახაზელთა ურიცხვი შეცდომა (ელგერას თამადობით, რომელმაც განსაკუთრებით ბევრი შესცოდა) მშვენივრად გამოიყენა და გალაქტიკოსებს ბოლო პრაქტიკულად მარტომ მოუღო.

პირველი ტაიმის მიწურულს დევიდ ბექემის შესანიშნავმა პასმა და ბაპტისტას ლამაზმა გოლმა „რეალი“ ოდნავ მოასულიერა, თუმც სტუმრები მათთვის ამ შავ ოთხშაბათს გალაქტიკოსთა აჩრდილებსღა ჰგვანდნენ. შესვენების შემდეგ ლოპეს კაროს ბიჭებს „სარაგოსა“ ისევ ტანკივით მიადგა, მადრიდელები კი კვლავ დაბნეულად გამოიყურებოდნენ. აბა, რა გასაკვირია, ვიქტორ მუნიოსის გუნდმა დიდი ანგარიშით რომ გაიმარჯვა...

დიეგო მილიტომ თავისი მეოთხე გოლი კუთხურის მოწოდების შემდეგ შეაგდო და „ლა რომარედას“ გადაჭედილ ტრიბუნებზეც ახალი ძალით გაჩაღდა ცეკვა-თამაში. ბრაზილიელმა ევერტონმაც, აქაოდა, „რეალის“ შეჭმის მთელი სახელ-დიდება არგენტინელმა მარტომ არ მიითვალოსო, იაქტიურა და იკერ კასილიასს ბოლო ორი ბურთი გაუტანა. განსაკუთრებით ლამაზი უკანასკნელი, მეექვსე გოლი გამოდგა — 25 მეტრიდან უძლავრესი დარტყმა, კასილიასის თავგანწირული, მაგრამ უშედეგო ნახტომი და სარაგოსელ ფანთა გადარევა...

თამაშის მერე, როცა გამარჯვებულთა გახარებული მწვრთნელი ვიქტორ მუნიოსი და მატჩის გმირი დიეგო მილიტო მედიასთან „ბრწყინვალე“, „დიდებულ“ და „შესანიშავ“ ბურთაობაზე საუბრობდნენ, „რეალის“ დამრიგებელმა ლოპეს კარომ განაცხადა: „მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იმედი მაქვს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბედს შემოვატრიალებთ და ნახევარფინალშიც სწორედ ჩვენ გავალთ“.

კარგი რამაა ოპტიმიზმი, მაგრამ, ზოგადად, „რეალში“ რეალობის გრძნობა ხომ არ მოუსუსტდათ?

ლადო ხომერიკი

მეჯისმეჯი. მეჯისმეჯი

ინგლისი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

ჩარლტონი 2:0 ლივერპული

1:0 დ. ბენტი (42პ), 2:0 იანგი (45)

ჩარლტონი: მირე, იანგი, პერი, ჰრეიდარსონი, სპექტორი, ბ. ჰიუზი, კიშიშევი, სმერტინი (ელ კარკური 83), ტომა (ამბროზი 79), მ. ბენტი, დ. ბენტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია (რიისე 70), ჯ. ტრაორე, ჯ. სისე (კრომკამპი 78), სისოკო, ხაბი ალონსო, კიუელი, მორიენტესი, კროუჩი (ფაულერი 60)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ტომა, პერი, დუდეკი, კარაგერი

მსაჯი: მარინერი

27 111 მაყურებელი

„ლივერპულს“ ის მაინც უნდოდა, რომ თავისი გამოტოვებული თამაშები „მანჩესტერის“ მეორე ადგილიდან ჩამოსაჩოჩებლად გამოეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმეც გაჭირდება.

რაფა ბენიტესის გუნდმა ჩარლტონის „ველიზე“ 0:2 წააგო და ისე გამოვიდა, რომ ბოლო ოთხ ტურში სამი მარცხი იწვნია, თან ისე, რომ ამ წაგებულ თამაშებში გოლები ვერ გაიტანა.

„ჩარლტონთან“ მერსისაიდელებს მეკარის პრობლემა ჰქონდათ: წინა ტურში ხოსე რეინა რომ გააძევეს, ახლა კარში ირჟი დუდეკი იდგა. ჰოდა, სწორედ დუდეკს მოუვიდა ის ამბავი, რამაც „ლივერპულს“ თამაში წაუხდინა: ფეხებში ჩაუხტა დარიენ ბენტს, რომელიც გაიშხლართა, მსაჯმა ანდრე მარინერმა კი პენალტი დანიშნა.

ეს ძალიან საეჭვო პენალტი იყო, რომელიც ბენტმავე გაიტანა. ამას კი ისეთი უხასიათობა მოჰყვა, რომ სამიოდ წუთში ლუკ იანგმა მეორე შეაგდო და პირველი ტაიმიც დასრულდა. როგორც გაირკვა, იანგის გოლი ქილერი იყო და სტუმრები ეგრეც ვერ გაიმართნენ წელში, თანაც, ტრავმირებული სტივენ ჯერარდის გარეშე გუნდმა თავისი სწრაფი პასების გათამაშება ვერ მოახერხა.

ახლა „ლივერპული“ 6 ქულით და 1 თამაშით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერს“.

ჩელსი	25	21	3	1	52:13	66
მანჩესტერი	25	15	6	4	49:26	51
ლივერპული	24	13	6	5	30:17	45
ტოტენჰემი	25	12	8	5	34:21	44
არსენალი	24	12	4	8	38:19	40
უიგანი	25	12	3	10	30:31	39
ბოლტონი	23	10	8	5	29:22	38
ვესტ ჰემი	25	11	5	9	36:34	38
ბლეკბერნი	24	11	4	9	31:30	37
სიტი	25	10	4	11	33:28	34
ჩარლტონი	24	10	3	11	30:34	33
ევერტონი	25	10	3	12	18:32	33
ასტონ ვილა	25	7	9	9	31:33	30
ფულემი	25	8	5	12	30:36	29
ნიუკასლი	24	8	5	11	22:28	29
ვესტ ბრომვიჩი	25	7	5	13	23:32	26
მიდლსბრო	24	6	7	11	30:44	25
ბირმინგემი	24	5	5	14	21:34	20
პორტსმუთი	25	4	6	15	17:42	18
სანდერლენდი	24	2	3	19	17:45	9

ასოციაციის თასი

1/16 ფინალი. გადათამაშება

მიდლსბრო* 1:0 *ქოვენთრი

1:0 ჰასელბაინკი (20)

ჩელსი* 4:1 *ევერტონი

1:0 რობენი (22), 2:0 ლამპარდი (36პ), 3:0 კრესპო (39), 3:1 არტეტა (72პ), 4:1 ტერი (74)

ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, ტერი, ჰუთი, გალასი, შ. რაიტ-ფილიპსი, ესიენი, ლამპარდი (ჯერემი 79), რობენი (ჯ. კოული 64), კრესპო (მანიშე 46), გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ევერტონი: ტურნერი, ფერარი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, ნუნუ ვალენტე (საიმონ დევისი 46), ვეირი, არტეტა, ჩეჰილი, კილბეინი, ოსმანი (კარსლი 82), ბიტი (მაკფადენი 46)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ნუნუ ვალენტე, ჩეჰილი, გალასი, კარსლი

მსაჯი: დოუდი

39 300 მაყურებელი

ლიდერმა „ჩელსიმ“ კი ოთხ დღეში მეორე მერსისაიდული გუნდი დაამარცხა. ოღონდ ამჯერად თასის გადათამაშებაში „ევერტონი“ 1:4-ზე იძლია და „ლივერპულთან“ მატჩში სიმულიანტობით გამორჩეული არიენ რობენი, რომელმაც მეკარე რეინა გააძევებინა მინდვრიდან, ამჯერად მთავარი გმირი იყო და ორი გოლიც შეაგდო.

„ევერტონს“ კი თავიდანვე არ უღიმოდა ბედი: მეკარე რიჩარდ რაიტი მოთელვაზე დაშავდა და კარში ახალბედა იან ტარნერი ჩადგა.

ირაკლი გამყრელიძე

AFP ლონდონიდან

ტომას მირე „ლივერპულის“ ძლევით ხარობს

გერმანია

ბუნდესლიგა. XX ტური

მიონხენგლადბახი 0:0 შალკე
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ბოგელუნდი, ბ. სვენსონი, ზე ანტონიო, იანსენი, პოლანსკი (უდე კამპუისი 74), ელ ფაკირი, კლუგე, ბროიხი, კაე, ნოივილი (ხონკი 70)
მწვრთნელი: ჰორსტ კოპელი
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, **კობიაშვილი**, ფ. ერნსტი, გ. ვარელა, ბაირამოვიჩი, ლინკოლნი, კურანი, სანდი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: იანსენი, კლუგე, ბოგელუნდი, კურანი, **კობიაშვილი**
მსაჯი: ფლაიშერი
51 026 მაყურებელი

ლევერკუზენი 4:0 ვოლფსბურგი
1:0 ბერბატოვი (44), **2:0** ბარნეტა (55), **3:0** შნაიდერი (71), **4:0** მადუნი (75)
ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი (ნოვოტნი 80), რამელო, მადუნი, ბ. შნაიდერი, როლფსი, სტენმანი, ვორონინი, ბარნეტა (კ. ფრიციი 78), ატირსონი (ფრაიერი 67), ბერბატოვი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი, კიროგა, ჰოფლანდი, ნეზირი, კარპანი (ტიამი 38), ვან დერ ლეეგტე, მენსეგეში, **ცძიტიშვილი** (შარპეი 46), კლიმოვიჩი, ჰანკე (ჰუგენდორპი 70)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მსაჯი: ბრიხი
20 000 მაყურებელი

შტუტგარტი 0:0 ვერდერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (შტრანცლი 70), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, მაისნერი, სოლდო, ტიფერტი, ჰიცლსპერგერი (გენტნერი 66), ლიუბოია, გომეში (ტომასონი 60)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ვერდერი: რაინკე (ვიზე 82), პასანენი, ფარენპორტი, ნალდო, კ. შულეი, ფრინგსი, ვრანიეში (ოვომოიელა 59), დ. იენსენი, მიკუ, კლასნიჩი, ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: მაისნერი, დელპიერი, ჰილდებრანდი, ნალდო, ოვომოიელა
მსაჯი: შტარკი
30 000 მაყურებელი

თამაში და ყბა: მოინგრა

ჰამბურგში აილტონის მიმყვანი მოიკითხეს

ჰანოვერი 2:1 ჰამბურგი
1:0 ზურავი (48), **2:0** ჰაშემიანი (72), **2:1** ბარბარესი (81)
ჰანოვერი: ენკე, ტროესტი, ვინისიუსი, ზურავი, ტარნატი, იანკოვი (ჰანე 87), ბალიტჩი, დაბროვსკი, რ. სოუზა (ბრდარიჩი 62), შტაინერი, ჰაშემიანი (დელურა 82)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ჰამბურგი: ვუსტერი, მაჰდავიკია, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ატუბა, დე იონგი, იაროლიმი, ბაინლიხი (ლაუტი 67), ტროხოვსკი, ბარბარესი, აილტონი (ტაკაჰარა 29)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: დე იონგი, ლაუტი
მსაჯი: კირხერი
40 053 მაყურებელი

ნიურნბერგი 0:1 აინტრახტი
0:1 ამანატიდისი (43)
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ნიკლი, პინოლა, პოლაკი (დაუნი 79), საენკო, კესლინგი, ს. მიულერი (კრისტიანსენი 60), ვიტეკი, შროტი (კანტალუპი 66)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ჰ. ოხსი, რემერი, ვასოსკი, რაინჰარდი, ჯონსი (ჰუგელი 69), პროისი, კიოლერი (ვაისენბერგერი 90), ა. მეიერი, კოპადო (დუ-რი ჩა 76), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: რაინჰარდტი, საენკო, პოლაკი, ვოლფი, ვასოსკი, პროისი, ოხსი
მსაჯი: მერკი
22 621 მაყურებელი

AFP შტუტგარტიდან

ანდრეას რაინკეს სახე დაუსისხლიანდა

თარსი ყოფილა აილტონი, მესამე მატჩი ითამაშა „ჰამბურგში“ და გუნდმა ორი წააგო. ბრაზილიელი ფორვარდი ბუნდესლიგურმა კლუბმა მეორე წრის დაწყების წინ „ბეშიქთაშიდან“ გადაიყვანა. აილტონამდე „ჰამბურგი“ ჩემპიონატის 17 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, წლეულს კი სამ ტურში — ორჯერ. ამას თავად აილტონის ტრავმაც დაემატა. „ჰანოვერთან“ მატჩის 29-ე წუთზე ბრაზილიელი მეტოქის მცველ ჰანო ბალიტჩს შეეჯახა და ყბა მოიტეხა. ფორვარდს რამდენიმე კვირა მკურნალობა მოუწევს და ეგებ უმისოდ „ჰამბურგი“ გამოსწორდეს. „კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ, მაგრამ ბოლო ფაზაში გვიჭირს“ — თქვა დამარცხებულთა მწვრთნელმა თომას დოლმა.

ბრემენის „ვერდერი“ სტუმრად „შტუტგარტს“ უგოლოდ დაუზავდა, ორადა, „მუსიკოსების“ ფორვარდ ნელსონ ვალდესს, სულ ცოტა, სამი მაინც უნდა გაეტანა. ბრემენელებს რომ მოეგოთ, „ბაიერნთან“ სხვაობას ექვს ქულამდე შეამცირებდნენ. „შტუტგარტის“ დანიელმა ლეგიონერმა იონ დალ ტომასონმა გოლი კი გაიტანა, თუმც მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა. ამის შემდეგ „ვერდერის“ მეკარე ანდრეას რაინკე მასპინძელ მარტინ შტრანცლს შეასკდა და თავპირდასისხლიანებული შესაცვლელი გახდა.

მიონხენგლადბახში „ბორუსია“ „შალკეს“ დაუზავდა. „ხუმარებისთვის“ ეს ზედიზედ მეორე უგოლო ფრეა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მირკო სლომკას გუნდის ფორვარდებს გამოუხიზლება სჭირდებათ.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ „ვოლფსბურგი“ ოთხი უპასუხო გოლით გაისტუმრა. მათგან სამი მეორე ტაიმის ოცწუთიან მონაკვეთში გავიდა, როცა „მგლების“ დაცვაში მასპინძლებმა იოლად ისეირნეს. „ბაიერის“ ყოფილმა, ახლა კი „ვოლფსბურგის“ დაღონებულმა მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა ნამატჩევს განაცხადა: „ალბერტ ფენდან ქულის წაღებას ვეცდებით, მაგრამ ქულას ვინ ჩივის, გოლიც კი ვერ გავიტანეთ. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიწევს თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად“.

ვაჟა ხუციშვილი

ბაიერნი	20	16	3	1	39:13	51
ვერდერი	20	13	4	3	51:23	43
ჰამბურგი	20	12	5	3	32:14	41
შალკე	20	9	9	2	22:12	36
ჰერტა	20	7	8	5	29:26	29
დორტმუნდი	20	7	7	6	28:26	28
შტუტგარტი	20	5	12	3	21:18	27
ჰანოვერი	20	5	11	4	30:26	26
გლადბახი	20	6	8	6	25:26	26
ლევერკუზენი	20	6	7	7	30:28	25
აინტრახტი	20	7	4	9	27:30	25
არმინია	20	5	6	9	23:29	21
ვოლფსბურგი	20	5	6	9	21:36	21
მაინცი	20	5	5	10	31:33	20
ნიურნბერგი	20	4	6	10	21:33	18
დუისბურგი	20	3	7	10	18:35	16
კიოლნი	20	3	5	12	28:45	14
ლაუტერნი	20	3	5	12	27:50	14

XXI ტური
11-12 თებერვალი

ბაიერნი	:	ნიურნბერგი
აინტრახტი	:	პანოვერი
ჰამბურგი	:	მაინცი
არმინია	:	შტუტგარტი
ვერდერი	:	ლაუტერნი
კიოლნი	:	დორტმუნდი
დუისბურგი	:	გლადბახი
შალკე	:	ლევერკუზენი
ვოლფსბურგი	:	ჰერტა

ბომბარდირები

კლოზე (ვერდერი)	16
ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი)	13
შმოლარეკი (დორტმუნდი)	12
კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი)	11
მაკაი (ბაიერნი)	10

ჩაფრენებს მეტოქემ ჩააფარა, ჰართსს საკუთარმა პრეზიდენტმა

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

აბერდინი 2:0 რეინჯერსი
1:0 სმიტი (34), **2:0** ლოველი (43)

სელტიკი 2:1 ფოლკირკი
1:0 როი კინი (34), **2:0** მაკმანუსი (44), **2:1** მილნი (83)

დანფერმლაინი 2:2 ინვერნესი
1:0 ჰანტი (9), **2:0** ბერჩილი (11), **2:1** დარგო (81ს), **2:2** ვინსი (88)

ჰიბერნიანი 7:0 ლივინგსტონი
1:0 კილენი (19), **2:0** რიორდანი (33ს), **3:0** ოკონორი (48), **4:0** რიორდანი (64), **5:0** მაკეი (70ს.კ.), **6:0**, **7:0** ფლეტჩერი (89, 90)

კილმარნოკი 2:0 მოზერუელი
1:0, **2:0** ველსი (34, 51)

როი კინი

როი კინმა „სელტიკის“ მაისურით თავისი პირველი გოლი შეაგდო. ირლანდიელმა დამატებაზე ივარგა და თავისიანები დააწინაურა. ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე კი სტეფან მაკმანუსმა სხვაობა გაზარდა. თითქმის მთელი მატჩი თამაში გლაზგოელებისა იყო, მაგრამ ბოლო წამებზე კინღამ ორი ქულა დაკარგეს. „ფოლკირკმა“ 83-ე წუთზე მეტოქის კარში პირველად დაარტყა და ისიც გაიტანა. ახალგაზრდა პორტუგალიელ პედრო მუტინიოს პასით კენი მილნიმ ისარგებლა, ბოლო წუთზე კი ავსტრიელი დანიელ მაკბრინის დარტყმა ოდნავ ასცდა სელტიკელთა კარს.

„სწორ გზას დავუბრუნდით. ბოლო რამდენიმე კვირაა, ასე არ გვითამაშია. სანამ გაგვიტანდნენ, ძალიან ვისიამოვნე, მერე ცოტა ვინერვიულეთ, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა“ — განაცხადა „სელტიკის“ მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა.

ისევ შერცხვა „რეინჯერსი“. ალექს მაკლიშის გუნდი ამჯერად „აბერდინმა“ დაიბრიყვა. პირველი გოლი „ჩაფრენებს“ „სელტიკის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯეიმი სმიტმა გაუტანა. შესვენებამდე სტივ ლოველმაც შეაგდო, ძალიან უღიმღამოდ მობურთალმა გლაზგოელებმა კი ვერაფერი გააწყვეს. ამით მშვენივრად ისარგებლა „ჰიბერნიანმა“ და „რეინჯერსს“ ისევ გადასწრო. ედინბურგელებმა ბოლოადგილოსანი „ლივინგსტონი“ გამოიჭირეს და 7 ბურთით დატვირთეს.

25-ე ტური კი სამშაბათს დაიწყო. „ჰართსი“ დანდიში ადგილობრივი „იუნაიტედს“ ეწვია და 2 ქულა დაკარგა. ჰართსელთა ძირითად შემადგენლობაში, წინა შეხვედრასთან შედარებით, 6 ახალი მოთამაშე გამოჩნდა, რამაც ედინბურგელები, კაპიტან სტივენ პრესლის თამადობით, ძალიან გააკვირვა. ამ უკანასკნელმა კლუბის პრეზიდენტ ვლადიმირ რომანოვთან შეხვედრაც კი ითხოვა.

საქმე ის არის, რომ ხმა დაირხა, გრემ რიქსი უკვე კლუბის ფორმალური მწვრთნელია, ხოლო შემადგენლობას და ტაქტიკას რეალურად რომანოვი არჩევსო. პრესლიმაც ითხოვა, საბოლოოდ გაგვარკვიეთ რა ხდება, თორემ ასე კიდევ ბევრ ქულას დავკარგავთო.

„ეს სიცრუეა. გუნდის მწვრთნელი რიქსია და მე მის საქმეებში არ ვერევი. უბრალოდ, ჩემს აზრს გამოვთქვამ ხოლმე“ — თქვა რომანოვმა.

გიორგი კაკაბაძე

სელტიკი	25	19	4	2	65:27	61
ჰართსი	25	15	6	4	50:20	51
ჰიბერნიანი	25	14	2	9	48:34	44
რეინჯერსი	25	12	7	6	44:30	43
კილმარნოკი	25	11	7	7	46:39	40
ინვერნესი	25	8	11	6	34:27	35
აბერდინი	25	7	11	7	29:29	32
მოზერუელი	25	8	6	11	38:45	30
დანდი იუნ.	25	6	9	10	29:40	27
ფოლკირკი	25	5	5	15	25:50	20
დანფერმლაინი	25	3	6	16	21:47	15
ლივინგსტონი	25	2	6	17	13:54	12

მათიას ზამერი

კლინსმანს ჰოკეი არ გამოუვიდა

ზამერი მეყვანჯის ნაცვლად

მათიას ზამერი გერმანიის ნაკრების ტექნიკურ დირექტორად დანიშნა.

ამ დანიშვნას წინ უსწრებდა ნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანის ახირებული მოთხოვნა, ამ თანამდებობაზე ბერნარდ პეტერსი უნდა დანიშნოსო.

პეტერსი ხელობით ბალახის ჰოკეის მწვრთნელია და 2002 წელს გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონებიც გაუხდია.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის უფროსობამ ამ მოულოდნელ კანდიდატურას მაინც ზამერი არჩია და 38 წლის ძველი ვარსკვლავი აპრილიდან შეუდგება საქმეს.

კლინსმანს კი უკმაყოფილება არ დაუმალავს: „იმედგაცრუებული ვარ, რომ ბერნარდი არ დაამტკიცეს. საქმის არსი არ განუხილავთ, მხოლოდ პიროვნულობით აირჩიეს“.

თუმცა გერმანული ფეხბურთის მამებმა იქვე განაცხადეს, რომ პეტერსის სხვა საქმეში გამოყენებაც შეიძლება. ხოლო კლინსმანს ამ უთანხმოების მიუხედავად მსუბუქ საყვედურსაც არავინ ეტყვის.

ირაკლი გამყრელიძე

აფრიკის ეროვნებათა თასი. ეგვიპტე 2006

სპილო და პირამიდა

ფინალი

ეგვიპტე — კოტ დივუარი

ფინალში არ ითამაშებს კაცი, რომელმაც ფინალისტები გამოიცნო. ნაკრებიდან გაძევებულმა აჰმედ ჰოსამ მიდომ ტურნირის დაწყებამდე იწინასწარმეტყველა 10 თებერვალს თასისთვის ეგვიპტე კოტ დივუარს შეხვდებაო.

ეს გუნდები ჯგუფშიც ერთად იყვნენ, იარეს, იარეს და ბოლოს ისევ ერთმანეთს მიადგნენ. ჯგუფის მატჩში ეგვიპტელმა „ფარაონებმა" კოტდივუარელ „სპილოებს" 3:1 მოუგეს. ამ შეხვედრაში დიდი „ტიტო" დროგბა არ ითამაშა, რადგან ვარჯიშზე დაგვიანა და მწვრთნელმა ანრი მიშელმა სათადარიგოში დატოვა.

„მიდო არ არის ეგვიპტის ეროვნული გუნდი. ქვეყანა მისით არ იწყება და არც მთავრდება — თქვა მთავარი მწვრთნელის თანაშემწე შაუქი არიბმა — მასზე ახლა არავინ ფიქრობს, რადგან გვყავს იმად მოტაები და საფინალოდ ვემზადებით. მართალია, ჯგუფში მოვუგეთ კოტ დივუარს, მაგრამ დღეს სულ სხვა მატჩი იქნება. ჩვენ კარგად შევისწავლეთ მეტოქე და გვჯერა, რომ მეხუთედ დავისაკუთრებთ თასს".

ეგვიპტეს მთავარი აფროტურნირი ოთხჯერ (1957, 1959, 1986, 1998) მოუგია და მეხუთედაც თუ შესწვდება, ჯილდოების სიუხვით კონტინენტზე პირველი გახდება.

კოტ დივუარმა კი ეროვნებათა თასი ერთხელ, 1992-ში მოიგო. მაშინ ფინალში განას შეხვდნენ, 120 წუთი უგოლოდ დასრულდა, პენალტების სერიაში კი „სპილოებმა" 11:10 იძალეს. კოტ დივუარს ეტყობა, პენალტები კარგად აქვს დაცდილი, ეგვიპტეშიც ხომ მეოთხედფინალში კამერუნს თერთმეტმეტრიანი დარტყმების შეჯიბრში 12:11 მოუგეს.

კოტ დივუარის ფორვარდმა ბუნავენტურე კალუმ თქვა, მეოთხედფინალამდე გუნდი ფსიქოლოგიურად მოისუსტებდა, კამერუნის ძლევის შემდეგ კი ყველა პრობლემა მოგვარდაო. „ეს იქნება ფინალი, რომელზეც ბევრი ოცნებობდა — აღნიშნა კალუმ — ხალხი ამბობს, რომ კამერუნთან გაგვიმართლა და ნიგერიასთანაც იღბალი ჩვენსკენ იყო. შესაძლოა, კონტინენტის საუკეთესო გუნდი არ ვართ, მაგრამ ფინალში გავედით".

სტატისტიკას თუ ვნახავთ, კოტ დივუარი ეგვიპტეს ეროვნებათა თასზე აქამდე რვაჯერ შეხვდა. ექვსჯერ „ფარაონებმა" აჯობეს, ერთხელ „სპილოებმა" მოიგეს, ერთიც ზავით დასრულდა.

ვაჟა ხუციშვილი

„სპილო" დროგბა და „ფარაონი" მოტაები

დევიდ ბექემისთვის გარეულიც შინაურია

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა თქვა, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ეროვნების იქნება ინგლისის ახალი მთავარი მწვრთნელი. მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე შვედი სვენ-გორან ერიკსონი პოსტს დატოვებს.

ბრიტანეთში დიდი ხანია, ამბობენ, ინგლისის მწვრთნელი ინგლისელი უნდა იყოსო. ყველაზე რეალური კანდიდატებიც დაასახელეს — „ბოლტონის" თავკაცი სემ ალარდაისი და „ჩარლტონის" დამრიგებელი ალან კერბიშლი. ბექემი კი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ირიბად მიანიშნებს, უცხოელ სპეციალისტებს ხელაღებით ნუ გადახაზავთ, მთავარია, მაღალი დონის მწვრთნელი იყოს და წარმატებას მივაღწიოთო.

„ნამდვილად არ მაღელვებს, რა ეროვნების იქნება ჩვენი მომავალი მწვრთნელი. უცხოელის შემთხვევაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ხოლო თუ ინგლისელი თავკაცი გვეყოლება, ორმაგად მესიამოვნება და ქომაგებიც ძალიან გაიხარებენ. ეს პოსტი ყველაზე შესაფერის კაცს უნდა ჩავაბარონთ. კანდიდატების დასახელებას არ ვაპირებ და არც ველი, რომ აზრს მკითხავენ. ეს ასოციაციის საქმეა, რომელშიც არ ვერევი" — აღნიშნა მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა.

